ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 33
04.03.2024

33-24-4-202403041038

საქართველოს სახალხო დაცველის აპარატის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში“ (დანართი N1).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში საჯარო ინფორმაციის გაცემის, პროაქტიულად გამოქვეყნებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 6 იანვრის N2 ბრძანების პირველი პუნქტი.

3. ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა დაევალოს სახალხო დამცველის აპარატის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს.

4. ბრძანება ძალაშია 2024 წლის 1 მარტიდან.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–12კმ, N64), მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი

დანართი N1

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი ნორმები

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში (შემდეგში - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“) განსაზღვრავს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზანს, საფუძვლებს, მონაცემთა დამუშავების ვადებს, ელექტრონულ მონაცემებზე წვდომის წესებს, პირობებს და უსაფრთხოების გარანტიებს. ასევე, აღნიშნული პოლიტიკით დგინდება პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას უფლებამოსილების განხორციელების მონიტორინგი და გამოვლენილ დარღვევებზე შესაბამისი რეაგირება.

2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს, საქართველოს კანონს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს.

3. წინამდებარე დოკუმენტში მითითებულ ტერმინებს აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული მნიშვნელობები.

4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებული ყველა პირისა და სტაჟიორებისათვის, რომლებიც ვალდებული არიან:
ა) მონაცემები დაამუშაონ მხოლოდ მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების მიზნით;
ბ) მიუხედავად ტექნიკური შესაძლებლობისა, წვდომა განახორციელოს მხოლოდ იმ პერსონალურ მონაცემებზე, რომელიც აუცილებელია მისი ფუნქციებისა და მოვალეობების განხორციელებისათვის.
გ) დაიცვან პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

5. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ვიდეომონიტორინგის წესი მტკიცდება ცალკე.

6. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლით გათვალისწინებული პროცესების არსებობის შემთხვევაში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შესაფებას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის მიზანი

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის მიზანია პერსონალური მონაცემის დამუშავებისას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების, დაცვა.

2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა უზრუნველყოფს:

ა) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) აპარატში არსებული პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმის შექმნას და მისი მეშვეობით კონფიდენციალურობას, მთლიანობასა და ხელმისაწვდომობას კანონით დადგენილი წესით;

გ) პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებისათვის შიდა და გარე საფრთხეების მიმართ დამცავი მექანიზმების შექმნას;

დ) პერსონალური მონაცემების მიმართ არასანქცირებული ქმედებების თავიდან აცილებას.

3. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში პერსონალური მონაცემები მუშავდება „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 3. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპები

1. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში პერსონალური მონაცემების დამუშავებისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი პრინციპები:

ა) მონაცემები უნდა დამუშავდეს კანონიერად, სამართლიანად, მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ და მისი ღირსების შეულახავად. მონაცემთა დამუშავების გამჭვირვალობის ვალდებულება არ ვრცელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებზე;

ბ) მონაცემები უნდა შეგროვდეს/მოპოვებული უნდა იქნეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისთვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, მონაცემთა დამუშავების თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით;

გ) მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. მონაცემები იმ მიზნის თანაზომიერი უნდა იყოს, რომლის მისაღწევადაც ისინი მუშავდება;

დ) მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი, ზუსტი და, საჭიროების შემთხვევაში, განახლებული. მონაცემთა დამუშავების მიზნების გათვალისწინებით, არაზუსტი მონაცემები უნდა გასწორდეს, წაიშალოს ან განადგურდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე;

ე) მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა წაიშალოს, განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს დეპერსონალიზებული ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მონაცემთა დამუშავება განსაზღვრულია კანონით ან/და კანონის შესაბამისად გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით და მონაცემთა შენახვა აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში აღმატებული ინტერესების დასაცავად;

ვ) მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავებისას მიღებული უნდა იქნეს ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა

დაცვას, მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან ან/და დაზიანებისგან.

მუხლი 4. მონაცემთა დამუშავების ზოგადი საფუძველი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში პერსონალურ მონაცემთა, მათ შორის - განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა, დამუშავება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული შემდეგი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით:

ა) საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაზე ზედამხედველობა;
ბ) ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენა და დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენის ხელშეწყობა;
გ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულება;
დ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით გათვალისწინებული, ამავე კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და განხორციელების მონიტორინგის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულება;
ე) „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ საქართველოს სახალხო დამცველისათვის განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელება.
ვ) აპარატში დასაქმებულ პირებთან (მათ შორის - შრომით ხელშეკრულებით) შრომითი, მათ შორის - წინასახელშეკრულებო, ურთიერთობების მოწესრიგება;
ზ) ნებისმიერი სხვა უფლებამოსილება, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან.

მუხლი 5. ბავშვის პერსონალური მონაცემების დაცვა

1. დაუშვებელია, რაიმე ფორმით, მათ შორის, მედიის საშუალებით, საჯარო გახდეს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებულ საქმეში მონაწილე ბავშვის პერსონალური მონაცემები, რომლებითაც შეიძლება გამჟღავნდეს ან არაპირდაპირ მიეთითოს ბავშვის ვინაობა (გამოსახულება, ბავშვის ან მისი ოჯახის წევრების დეტალური აღწერა, სახელები, მისამართები, აუდიო და ვიდეოჩანაწერები და მსგავსი ინფორმაცია).

2. დაუშვებელია, რაიმე ფორმით, მათ შორის, მედიის საშუალებით, საჯარო გახდეს ბავშვის პერსონალურ მონაცემთა შემცველი ისეთი დოკუმენტი ან ჩანაწერი, რომელიც უკავშირდება ბავშვის მიმართ დისციპლინური ზომის გამოყენებას, ბავშვის მიმართ ან მის მიერ ჩადენილი ძალადობის შემთხვევას, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ან ღარიბი ოჯახის სოციალური დახმარების ან საქველმოქმედო პროგრამაში ბავშვის მონაწილეობას და ბავშვთან დაკავშირებულ სხვა, მსგავსი შინაარსის ინფორმაციას.

3. ბავშვის პერსონალურ მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4. დაუშვებელია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებულ საქმეში მონაწილე ბავშვის თანხმობის გარეშე (ინდივიდუალური შესაძლებლობების და საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით) ინფორმაციის მიწოდება მშობლისათვის/კანონიერ

წარმომადგენლისათვის და მესამე პირებისათვის, მათ შორის, დაუშვებელია ბავშვის პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სახალხო დამცველის აპარატის სხვა სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებული პირისათვის, გარდა საკონსულტაციო მიზნებისა.

5. დაუშვებელია ბავშვის მშობლისათვის/კანონიერი წარმომადგენლისათვის ბავშვის თანხმობის გარეშე იმ ინფორმაციის მიწოდება, რომლის კონფიდენციალურად დაცვასაც ითხოვს თავად ბავშვი.

6. ბავშვის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით, შეიძლება უარი ეთქვას სახალხო დამცველის აპარატისთვის საქმის შესწავლის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის გაცემაზე (მაგ: ფსიქოლოგთან გასაუბრება, ახსნა-განმარტებითი ბარათები და ა. შ.)

7. სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებულ საქმეში მონაწილე ბავშვის ფოტო-ვიდეო გადაღება შესაძლებელია ბავშვის წერილობითი თანხმობით (ინდივიდუალური შესაძლებლობების და საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით).

8. ბავშვის პერსონალური მონაცემების დამუშავებისას გათვალისწინებული და დაცული უნდა იქნეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნები.

თავი II. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში დასამუშავებელი პერსონალური მონაცემების სახეები და დამუშავების საფუძვლები

მუხლი 6. დასამუშავებელ პერსონალურ მონაცემთა სახეები:

1. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში პერსონალურ მონაცემებს შეიცავს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელების პროცესში საქმეთა შესწავლის მასალები;

ბ) აპარატში დასაქმებულ პირებთან (მათ შორის - შრომით ხელშეკრულებით) შრომითი, მათ შორის - წინა სახელშეკრულებო, ურთიერთობების მომწესრიგებელი დოკუმენტაცია;

გ) დოკუმენტები, რომლებიც იწარმოება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ კანონით განსაზღვრული საფინანსო-საბიუჯეტო ვალდებულებების შესრულების მიზნებისთვის;

დ) დოკუმენტაცია, რომელიც იწარმოება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ სხვა უფლებამოსილებების განხორციელებისას, რომელიც გამომდინარეობს სახალხო დამცველის კომპეტენციიდან (მონიტორინგის განხორციელება, უფლებადარღვევის ფაქტების პროაქტიული გამოვლენა; სხვადასხვა საგრანტო პროექტის განხორციელება და სხვა).

მუხლი 7. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლები

1. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელების პროცესში საქმეთა შესწავლის მასალები (შემდგომში - საქმეთა შესწავლის მასალები) შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც მუშავდება როგორც სახალხო დამცველის აპარატში მიღებული განცხადებისა და საჩივრის საფუძველზე (შემდგომში - საქმეთა შესწავლა ინდივიდუალური

განცხადებების/საჩივრების საფუძველზე), ისე საქართველოს სახალხო დამცველის საკუთარი ინიციატივით საქმეთა შესწავლის შემთხვევაში.

2. საქმეთა შესწავლის მიზნებისთვის პერსონალური მონაცემების, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების, დამუშავების სამართლებრივი საფუძველია:

ა) ინდივიდუალური განცხადებების/საჩივრების შემთხვევაში - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი (მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა) ან/და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37^1-ე მუხლის მე-2 პუნქტი (ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული წერილობითი თანხმობა გაცემულად ითვლება, თუ პირი განცხადებაში ან სხვა რაიმე წერილობით დოკუმენტში გამოხატავს თანხმობას, რომ საჯარო დაწესებულებამ, რომლისგანაც იგი ითხოვს საკითხის გადაწყვეტას, თავად გამოითხოვოს მისი პერსონალური მონაცემები ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია შესაბამისი საჯარო დაწესებულებისაგან).

ბ) სახალხო დამცველის საკუთარი ინიციატივით საქმეთა შესწავლის შემთხვევაში - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი (არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა), ამავე კანონის მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი (მონაცემთა დამუშავება საჭიროა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად), მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი (მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა წერილობითი თანხმობა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე), მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი (მონაცემთა სუბიექტმა გამოყენების აშკარა აკრძალვის დათქმის გარეშე საჯარო გახადა თავისი მონაცემები) ან/და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

3. სახალხო დამცველის საკუთარი ინიციატივით საქმეთა შესწავლის შემთხვევაში თუ არ არსებობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული რომელიმე სხვა საფუძველი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შესაბამისი უფლებამოსილი პირი ვალდებულია მონაცემთა სუბიექტისგან აიღოს წერილობითი თანხმობა პერსონალური მონაცემების, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე.

4. აპარატში დასაქმებულ პირებთან შრომითი, მათ შორის - წინა სახელშეკრულებო, ურთიერთობების მომწესრიგებელი დოკუმენტაცია შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, რომელთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლებია: „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი და ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტები.

5. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ კანონით განსაზღვრული საფინანსო-საბიუჯეტო ვალდებულებების შესრულების მიზნებისთვის შექმნილი დოკუმენტაციაში პერსონალური მონაცემების დამუშავების სამართლებრივი საფუძველია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი (მონაცემთა დამუშავება საჭიროა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად) და ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

6. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი დოკუმენტაციის მიზნებისთვის, რომელიც იწარმოება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ სხვა უფლებამოსილებების განხორციელებისას და გამომდინარეობს სახალხო დამცველის კომპეტენციიდან (მონიტორინგის განხორციელება, უფლება დარღვევის ფაქტების პროაქტიული

გამოვლენა; სხვადასხვა საგრანტო პროექტის განხორციელება და სხვა) არის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი (მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა წერილობითი თანხმობა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე). აღნიშნულ შემთხვევაში, დასამუშავებელი მონაცემის სპეციფიკის გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელი ვალდებულია გააფრთხილოს მონაცემთა სუბიექტი პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, აიღოს მისგან წერილობითი თანხმობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით.

7. სახალხო დამცველის აპარატის ორგანიზებით დაგეგმილი ღონისძიებების: საქმიანი შეხვედრების/პრეზენტაციების/კონფერენციების/ტრენინგების მონაწილეთა პერსონალური მონაცემების დამუშავების შემთხვევაში, სახალხო დამცველის აპარატის უფლებამოსილი წარმომადგენელი (ღონისძიების ორგანიზატორი სტრუქტურული ერთეულიდან) ვალდებულია მიიღოს ზომები ღონისძიების მონაწილეთა - მონაცემთა სუბიექტების მხრიდან შესაბამისი თანხმობის მიღების მიზნით.

მუხლი 8. სახალხო დამცველის აპარატში გამოყენებული ელექტრონული პლატფორმები

1. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნით იყენებს შემდეგ ელექტრონულ პლატფორმებს, რომლის მეშვეობითაც ასევე მუშავდება პერსონალური მონაცემები:

ა) საქმისწარმოების (დოკუმენტბრუნვის) ერთიანი ელექტრონული სისტემა;
ბ) ehrms - ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა;
გ) „Call Manager v.3“ (callapp) - მრავალარხიანი სატელეკომუნიკაციო პროგრამა შექმნილი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მოქალაქეთა მომსახურებისა და პირველადი რეაგირების დეპარტამენტისათვის, მათ შორის, ცხელი ხაზის გამართულად ფუნქციონირებისათვის;
დ) rs.ge - შემოსავლების სამსახური;
ე) eTreasury.ge - სახელმწიფო ხაზინა;
ვ) procurement.gov.ge - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო;
ზ) „ერთი გონი“ - საბუღალტრო პროგრამა;
თ) Microsoft 365 და მასში შემავალი პროგრამული უზრუნველყოფა;
ი) www.ombudsman.ge - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ვერ-გვერდი.

2. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტშის „ა“-„თ“ პუნქტებში მითითებული ელექტრონული პლატფორმები, არ არის ადმინისტრირებადი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ და შესაბამისად, მათზე განთავსებული პერსონალური მონაცემების შენახვის ვადები და უსაფრთხოება განისაზღვრება აღნიშნული პლატფორმებისათვის არსებული წესების შესაბამისად.

3. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ვერ-გვერდზე (www.ombudsman.ge) საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ადმინისტრირებულია სხვადასხვა ელექტრონული სასწავლო კურსი, რომლის ფარგლებშიც ვერ-გვერდზე ინახება კურსის გავლის მსრუველთა პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, ელ-ფოსტა, სქესი, ასაკი სხვადასხვა შკალის მიხედვით (და არა კონკრეტული ასაკი), ორგანიზაციის ტიპები (სამთავრობო, არასამთავრობო, კერძო სექტორი და სხვა).

მუხლი 9. პერსონალური მონაცემების შენახვის ვადები

1. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში პერსონალური მონაცემები ინახება ,,საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმეთა ნაერთ ნომენკლატურაში“ მითითებული ვადით, რომელიც სახალხო დამცველის აპარატში მტკიცდება სახალხო დამცველის ბრძანებით, მათ შორის:

ა) საქმეთა შესწავლის მიზნებისთვის პერსონალური მონაცემების შენახვის ვადაა - 5 წელი, თუ ,,საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმეთა ნაერთი ნომენკლატურით“ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
ბ) აპარატში დასაქმებულ პირებთან (მათ შორის - შრომით ხელშეკრულებით) შრომითი, მათ შორის - წინა სახელშეკრულებო, ურთიერთობების მომწესრიგებელი დოკუმენტაცია:
ბ.ა) დასაქმებულების შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები - ინახება დასაქმების ვადით (შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას დასაქმებულს დაუბრუნდება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შემცველი ინფორმაცია);
ბ.ბ) კონკურსანტების პერსონალური ინფორმაცია ინახება კონკურსის შედეგების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 1 წელი;
ბ.გ) დისციპლინური წარმოების ან/და შეფასების შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში ჩატარებული წარმოების მასალები ინახება აღნიშნულ საქმეზე დავისთვის მოქმედი კანონმდებლობით დაწესებული ხანდაზმულობის ვადით;
გ) დოკუმენტაცია, რომელიც იწარმოება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ სხვა უფლებამოსილებების განხორციელებისას და გამომდინარეობს სახალხო დამცველის კომპეტენციიდან (მონიტორინგის განხორციელება, უფლება დარღვევის ფაქტების პროაქტიული გამოვლენა; სხვადასხვა საგრანტო პროექტის განხორციელება და სხვა) ინახება 1 წელი, თუ ,,საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმეთა ნაერთი ნომენკლატურით“ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
დ) „Call Manager v.3“ (callapp) - აღნიშნული პლატფორმის წესების თანახმად, საუბრის ჩანაწერები ინახება 1 წლის განმავლობაში;
ე) საქმის მასალები, რომლებიც მოცულობის გამო ვერ ხვდება საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში (eDocument) ინახება 5 წელი (შესაბამის განცხადება/საჩივართან ერთად)’
ვ) საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ვერ-გვერდზე (www.ombudsman.ge) სხვადასხვა სასწავლო კურსის მონაწილეთა პერსონალური მონაცემები ინახება 1 წლის ვადით.

მუხლი 10. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი

1. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში პერსონალური მონაცემთა დაცვის ოფიცერს განსაზღვრავს სახალხო დამცველი შესაბამისი ბრძანებით.

2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის, როგორც მონაცემთა დამუშავებაზე პასუხიმგებელი პირის, მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

მუხლი 11. პერსონალური ინფორმაციის გაცემის წესი

1. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული (მათ შორის, ელექტრონული ფოსტით) განცხადება პერსონალური მონაცემების გაცემის შესახებ, საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით რეგისტრირდება შემოსვლის დღესვე, ენიჭება რეგისტრაციის უნიკალური ნომერი და იმავე დღესვე გადაეცემა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს.

2. პერსონალური ინფორმაციის გაცემას/უარს პერსონალური ინფორმაციის გაცემაზე ხელს აწერს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

3. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული (მათ შორის, ელექტრონული ფოსტით) განცხადება პერსონალური მონაცემების გაცემის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია განცხადების შემოტანის დროს სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებულ საქმესთან, საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობის რეგისტრირდება შემოსვლის დღესვე, ენიჭება რეგისტრაციის უნიკალური ნომერი და იმავე დღესვე გადაეცემა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს.

4. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული (მათ შორის, ელექტრონული ფოსტით) განცხადება ბავშვის პერსონალური მონაცემების გაცემის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია განცხადების შემოტანის დროს სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებულ საქმესთან, საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობის რეგისტრირდება შემოსვლის დღესვე, ენიჭება რეგისტრაციის უნიკალური ნომერი და იმავე დღესვე გადაეცემა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს და ბავშვის უფლებათა დეპარტამენტს.

5. პერსონალური მონაცემები გაიცემა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

6. პერსონალური მონაცემების ასლები, რომელიც განმცხადებლის შესახებ არსებობს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განმცხადებელს უსასყიდლოდ გადაეცემა.

7. განმცხადებელს არ შეიძლება უარი ეთქვას საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში პირადად მის შესახებ არსებული ინფორმაციის გაცნობის მოთხოვნაზე. გამონაკლისია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევები.

8. „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, განმცხადებელს საქმის მასალები გადაეცემა „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 12. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

1. მონაცემთა სუბიექტს აქვს შემდეგი უფლებები:
ა) მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება;
ბ) მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლება;
გ) მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება;
დ) მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება;
ე) მონაცემთა დაბლოკვის უფლება;
ვ) ტექნიკურად შესაძლებელობის შემთხვევაში მონაცემთა გადატანის უფლება;
ზ) თანხმობის გამოხმობის უფლება;
თ) გასაჩივრებისა და საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობასთან დაკავშირებული, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვა რელევანტური უფლებები.
2. წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში აღნული უფლებებით სარგებლობა მონაცემთა სუბიექტს შეუძლია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 13. პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოება

1. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება დაცულია ინფორმაციული სისტემებისა და ინფორმაციული აქტივების (IT აქტივების) მოხმარების პოლიტიკის და აპარატის ინფორმაციული სისტემებისა და ინფორმაციული აქტივების პოლიტიკის დოკუმენტებით, რომლებიც მტკიცდება საქართველოს სახალხო დამცველის ბრძანებით.

2. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი ინციდენტის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი, ასევე ინციდენტზე რეაგირების განმხახორციელებელ პი(ებ)სა და შეტყობინებაზე პასუხისმგებელ პირს საქართველოს სახალხო დამცველი განსაზრავს შესაბამისი ბრძანებით.

მუხლი 14. მონიტორინგი და პასუხიმგებლობა

1. წინამდებარე დოკუმენტისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევა იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 15. პერსონალური მონაცემების განადგურება

პერსონალურ მონაცემთა განადგურება ხდება სახალხო დამცველის აპარატში მოქმედი მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის მიერ, არქივის მუშაობისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.